ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 199

"6" მაისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ № 01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. № 01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და კახაბერ კობაივანოვის (პ/ნ. 01401124243) მიმართ მისამართებზე - 1. ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი №35 - ის მიმდებარედ, თბილისი ნუცუბიძის მიკრო/რაიონი IV, №4 და №5 კორპუსების მოპირდაპირედ, ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო რაიონი IV, კორპუსი №36, მიმდებარედ (ნაკვეთი 08/016, ს/კ. №01.14.16.009.305) და 2. ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი №35 - ის მიმდებარედ, თბილისი ნუცუბიძის მიკრო/რაიონი IV, №4 და №5 კორპუსების მოპირდაპირედ, ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო რაიონი IV, კორპუსი №36, მიმდებარედ (ნაკვეთი 08/016, ს/კ. №01.14.16.009.304) - არსებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და კერძო პირის - კახაბერ კობაივანოვის (პ/ნ. 01401124243) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 3 მაისის №22.645.718 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და კახაბერ კობაივანოვის (პ/ნ. 01401124243) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის

გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ. №01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართებზე - 1. ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი №35 - ის მიმდებარედ, თბილისი ნუცუბიძის მიკრო/რაიონი IV, №4 და №5 კორპუსების მოპირდაპირედ, ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო რაიონი IV, კორპუსი №36, მიმდებარედ (ნაკვეთი 08/016, ს/კ. №01.14.16.009.305) და 2. ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი №35-ის მიმდებარედ, თბილისი ნუცუბიძის მიკრო/რაიონი IV, №4 და №5 კორპუსების მოპირდაპირედ, ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო რაიონი IV, კორპუსი №36, მიმდებარედ (ნაკვეთი 08/016, ს/კ. №01.14.16.009.304) - არსებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.5-დან 5.0-მდე, თითოეულ მიწაზე (ს/კ.№01.14.16.009.304 და ს/კ. №01.14.16.009.305) ცალ-ცალკე;

ბ) თითოეულ მიწაზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე - სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები და მიჯნის ზონის მოთხოვნები;

გ) თითოეულ მიწაზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოთხოვნები. კერძოდ, საკადასტრო კოდით - №01.14.16.009.304 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 70 ერთეულით, ხოლო საკადასტრო კოდით - №01.14.16.009.305 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 35 ერთეულით;

დ) კახაბერ კობაივანოვმა (პ/ნ. 01401124243) შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 1 312 890 (მილიონ სამასთორმეტი ათას რვაასოთხმოცდაათი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი" (ს/ნ. 204460957), შპს ,,მარიჯანი (ს/კ. 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი" (ს/კ. 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები" (ს/კ. 212272869), შპს „დიღმი დისთრიქთ აფართმენთს" (ს/კ. 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღმი" (ს/კ. 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი"-ს (ს/ნ. 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;

ე) კახაბერ კობაივანოვმა (პ/ნ. 01401124243) ამ პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

ვ) ამ პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**